

## ვუმღერ სამშობლოს

სულ ჩემი გულის მონაწურია,  
რაც დაეპწკარა ქალაქს ლექსები,  
ვუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია,  
და მის სიყვარულს დავემწყემსები.

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები, -  
როგორც წყალში დგას წნორის ძირები.  
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,  
თუ სამშობლოსგან გავიწირები

მარადი შუქით ბრწყინვალეებს იგი,  
მისი ნათელი დამთოვებია,  
სიცოცხლე -- მისი მშვენების იქით  
ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია!

აჟღერდეს მისთვის პოეტის ენა  
და ტკბილი სიტყვის გამართულობა;  
ვით ღონიერი ნიაღვრის დენა, -  
ჩემი თქმულობა, ლექსქართულობა!

დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი, --  
ეს ყვავილები მე დავაგროვე;  
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმას მჭრელი,  
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე

გულის ნათელი მე მიპოვია,  
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;  
სამშობლო --- ჩემი გულის ფეთქვაა,  
სამშობლო - ჩემი ლექსის სახელი!